აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 12

5 ივნისი 2004წ. ქ. ბათუმი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება „საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

2. სხვადასხვა

სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა,
კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, მამუკა წულუკიძე, ლევან ჩავლეიშვილი, სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ს.ჩხაიძე
სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა
დღის წესრიგის დამტკიცებამდე კომისიის წევრმა გ. დუაძემ ითხოვა დღის წესრიგში შესულიყო და კენჭიყრაზე გასულიყო საკითხი საინიციატივო ჯგუფების მიერ კანდიდატების წარდგინების ვადების გადაწევაზე, რომელიც ახსნა იმით, რომ წარსადგენმა კანდიდატებმა დროულად ვერ გაეცნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ", მიუხედავად იმისა, რომ ის დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთ "აჭარა"-ში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს "საკანონმდებლო მაცნე"-ს №6-ში, კანდიდატებისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა შეეძინათ და გაცნობოდნენ კანონს არჩევნების ჩატარების შესახებ. გამოვდივარ რა იქიდან, რომ წინააღმდეგი ვიყავი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები დანიშნული ყოფილიყვნენ ქ. თბილისიდან, რადგან აჭარის რეგიონს ჰყავს გამოცდილი და პატიოსანი მუშაკები, რომლებიც მშვენივრად გაართმევდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაქვს ეჭვი, რომ კომისიის დანიშნული თავმჯდომარეები ასრულებენ ვიღაცის დაკვეთებს, ამით ზარალდება დეპუტატობის დამოუკიდებელი კანიდიდატები, რომლებმაც ვერ შეძლეს ვადებში გაევლოთ წინასწარი რეგისტრაცია. წამოყენებულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. მაინტერესებს, დასძინა მან, თუკი დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მოიპოვეს სათანადო ინფორმაცია, რათა მონაწილეობა მიიღონ 2004 წლის 20 ივნისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, მაშინ როგორ გაიგეს ხელმოწერების შესახებ? რა საბუთებია საჭირო? განცხადების რეგისტრაციისათვის რამდენი კაცი სჭირდებოდა და ა.შ. ამიტომ თქვენი მოყვანილი არგუმენტი არ იძლევა იმის

საშუალებას, რომ ეს საკითხი შევიდეს დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში და მის დამტკიცებას კენჭი ეყაროს. ამდენად გ. დუაძის მიერ წამოყენებული საკითხი კენჭიყრაზე არ დამდგარა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კომისიის თავმჯდომარემ დასვა კენჭიყრაზე დასამტკიცებლად, კენჭი ეყარა და იქნა დამტკიცებული. ქ-მა გ. დუაძემ კენჭიყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი- განკარგულების პროექტი "საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ 2004 წლის 3 ივნისს ჩვენ მივიღეთ ფაქსი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი პლამენ ნიკოლოვის ხელმოწერით, რათა რეგისტრაციაში გავატაროთ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის ევროპის საბჭოს ადგილობრივ რეგიონალურ ხელისუფალთა კონგრესი, ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დადგა კენჭისყრაზე, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრე წევრმა, კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. მან აღნიშნა, რომ სიების წინასწარი რეგისტრაციის საქმე არც თუ ისე მოგვარებულია, იქნებ მოვამზადოთ დადგენილების პროექტი, რომლითაც შევიტანთ ცვლილებას 2004 წლის 1 ივნისს დამტკიცებულ დადგენილებაში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ, რომლითაც საარჩევნო კომისია კომისიის თავმჯდომარის დავალებით შექმნილი ჯგუფების მეშვეობით ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას განახორციელებს კარდაკარ შემოვლის პრინციპით. გარდა ამისა, სწრაფად უნდა გაიკრას წინასაარჩევნო პლაკატები, სარეკლამო რგოლებმა უფრო ხშირად უნდა იტრიალონ, მეგაფონებმა იარონ ძალიან ორგანიზებულად. წამოჭრილი საკითხის გარშემო თავიანთი აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა: გ. ბზიკაძემ, ლ. ჩავლეიშვილმა.

გადაწყვიტეს: იურიდიულ სამსახურს დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მომდევნო სხდომისათვის მოამზადოს დადგენილების პროექტი ზემოთ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხთან დაკაშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გ. მჭედლიძე, რადგანაც ოლქებში საბუთების შეტანა სრულდება 18 სთ-ზე და ოლქის თავმჯდომარეების მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დოკუმენტაცია უნდა შევიდეს 18 საათამდე, ამიტომ გამოვდივარ სიტყვით, რათა აუცილებლობის შემთხვევაში უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამუშაო დღე გავზარდოთ 22 საათამდე. წამოჭრილი საკითხი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

ეთხოვა კომისიის თავმჯდომარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების მიღებით დაარეგულიროს აღძრული საკითხი.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე